კვირა, 5 ივლისი 1916 წ. ფასი 10 კაპ.

1915
1915 წ. ... 1915 წ.

იუმორისტ. ჟურნალი

ეშმაკის ალმანახი

№ 9



იგი ჩანგური ალარას მარგებს
უწინ რომ ნაზად დაიკვნესებდა,
ხან შეიქნებდა მიჯნურს, ხან ვარდებს
და შემდეგ მუუდროდ განისვენებდა.

ჩემს სულს სწყურიან ბრძოლა შედგარ?
დაუნდობელი შურის ძიება;
მკლავდნენ ვერ ვუძღვნა სამაგიერო?
ქართველს აროდეს ეპატიება!

ხანდრო შანშიაშვილი. (სატირი. ...)

მომავალის ისტორიიდან.

1915 წლის დამლევს ომში ჩაერია ევროპის დანარჩენი სახელმწიფოებიც: საბერძნეთიდან დაწყებული ვიდრე შვეცია-ნორვეგიამდე.

1916 წელს ჩინეთმაც აისხა იარაღი და ბრძოლის ველზე გამოვიდა; წლის ბოლოს კი უკვე მთელი აზია იბრძოდა. ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები 1917 წელს ეკვეთა მტერს და თან სამხრეთი ამერიკაც გაიყოლია.

1918 წელს მთელ დედამიწის ზურგს სისხლის ოშივარი ასდიოდა და არ იყო ისეთი კაცთა ტომი, რომ ომში არ ჩარეულიყო.

მთელი კაცობრიობა ჟლეტისა და სისხლის ღვრის წყურვილმა აიტანა, მშვიდობიანობა შორეულ წარსულის მოგონებას-ღა წარმოადგენდა და ომიანობა წესიერ მდგომარეობათ იქნა აღიარებული.

ვინაიდან თითოეულ წლის განმავლობაში 20 მილიონი ვაჟკაცი იხოცებოდა და სახიჩრდებოდა, 1930 წლის დამდგომს ბრძოლის ველზე 14 წლის ჭაბუკები და 60—65 წლის მოხუცებიც გაიყვანეს.

ბრძოლის ველზე დაიხოცა ყველა პროფესორი, მეცნიერი, ტეხნიკოსი და მწერალი, განადგურდა და დანგრეულ იქმნა უნივერსიტეტები, ლაბორატორიები, ქარხნები და სახელოსნოები, მოისპო მანქანები და სამეცნიერო იარაღები, გადაიწვა ბიბლიოთეკები და მუზეუმები და კაცობრიობის გონებისა და ნიჭის ნაყოფი გადაირეცხა დედამიწის ზურგიდან.

ელვის სისწრაფით მიჰქროდა კაცობრიობის ცხოვრება უკან, თავის ისტორიულ აკვანისაკენ და 20—25 წლის განმავლობაში სწორეთ ის გზა გაიარა თავის წარსულისაკენ, რის გაკეთებასაც წინეთ რამდენიმე საუკუნე მოანდომა.

რაკი თოფ-ზარბაზნები, ტყვია-წამალი და სხვა გაუმჯობესებული საომარი იარაღები გამოიგონა, ახლის გამკეთებელი კი არავინ იყო, ისევ შვილდ-ისარსა და შურდულს დაუბრუნდენ.

არა თუ აეროპლანები მოისპო, რკინის გზებისა და ორთქლის გემების ხსენებაც აღარ იყო. ადამიანები ნადირის ტყავით იმოსებოდენ და უმეტესათ ტყეებში იყვენ გახიზნული.

წერა-კითხვის საჭიროება გაჰქრა და საუკუნოებით შეკრებილი და გადმოცემული ცოდნა ამოიშალა კაცთა გონებაში.

1940-იან წლებში ომის ჟინმა ცხრომა დაიწყო და აქა იქ ზავი ჩამოვარდა. ომიანობა რომ შეწყდა და მშვიდობიანობამ ფეხი მოიმაგრა, მთელი კაცობრიობის რიცხვი იმის მეხუთედს ღა შეადგენდა, რაც ომის დაწყებამდე იყო. $^4/_5$ კაცობრიობა მოისპო: უმეტესობა ომმა იმსხვერპლა, დანარჩენი კი შიმშილმა და სხვა-და-სხვა სენმა.

კაცობრიობის ეს ნაბოლვარა ასე განიყოფებოდა: თითო მამაკაცზე 4 დედაკაცი მოდიოდა.

ვინაიდან ქალთა ესოდენი სიჭარბე იყო და ვაჟების უმეტესობას ბალღები და ომში დასახიჩრებული კაცები შეადგენდენ, საერთო ცხოვრების მართვა-გამგეობაში და შინაურ ყოფაშიაც უპირატესობა დედაკაცებმა ჩაიგდეს ხელში და ქვეყნიერობა კვლავ უძველეს დროის მატრიარხატულს, ანუ ქალთა ბატონობის ხანას დაუბრუნდა.

დედაკაცთა პირველობას ის უწყობდა ხელს, რომ ხანგრძლივი ომიანობის დროს, უმამამაკაცობის გამო, მთელს შინაურ ცხოვრებას, მეურნეობას და სხვა სამუშაოს ესენი უძღვებოდენ. ამან გაწვრთნა და ისე მოაღონიერა დედაკაცი, რომ გადარჩენილი მამაკაცები ფიზიკურათაც ვეღარ უსწორდებოდენ მათ.

ახალმა მდგომარეობამ ახალი ფსიხოლოგია შეჰქმნა. დედაკაცების ბუნება ძირითადათ შეიცვალა: ჩვენი დროის მამაკაცების სიყოჩაღე, გამბედაობა, დამოუკიდებლობა და შრომის ამტანობა შეუმუშავდა მათ. მამაკაცები კი, პირიქით, უწინდელ დედაკაცებივით ნაზი, მორცხვი, სუსტი და უმწეო შეიქნენ.

შესდგა ამორძალთა მხედრობანი და გაჩნდა რაინდობის კულტი, ხოლო რაინდების როლს ახლა დედაკაცები ასრულებდენ, მათი აღმფრთოვანებელი საგანი კი მამაკაცები იყვენ.

მეოცე საუკუნის მიწურულში განვლილ ომიანობის მომსწრეები აღარ მოიპოვებოდა და მათთან ერთად გაჰქრა მოგონებაც უწინდელ კულტურისა და გონებრივი სიმაღლისა.

ამ მოგონებასთან ერთად საბოლოოთ გაწყდა კავშირი წარსულთან და კაცობრიობამ თავისუფლათ ამოისუნთქა: გონებრივი მუშაობა, სწავლა-განათლებისთვის ზრუნვა, წერა-კითხვის ცოდნაც კი ახლა არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა და ადამიანის ცხოვრების შინაარსი მხოლოდ არსებობისთვის პირველყოფილ ბრძოლითა ბუნებასთან ფიზიკური ბრძოლით განისაზღვრებოდა.

ამისდაგვარათ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში კაცობრიობის ყოფა-ცხოვრება დაახლოვებით

შემდეგი იყო: ცხოვრობდენ უმეტეს ნაწილათ ტყეებში და გამოქვაბულებში, იკვებებოდენ ნანადირევით, ნედლი ხილეულითა და ბოსტნეულით და მთელი მათი დრო და შრომა ბუნებასთან და ურთი-ერთ შორის ბრძოლას უნდებოდა...

დიდხანს გასტანა დედაკაცთა ბატონობის ხანამ და ამ ეპოქის განმავლობაში არავითარი წინსვლა კაცობრიობას არ დასტყობია, ვინაიდან დედაკაცი, ისტორიულ პირობების გამო, მოკლებული იყო შემოქმედებითი მუშაობის უნარს. ის კი არა, კიდევ უფრო დაიხია ადამიანთა მოდგმის ყოფა-ცხოვრებამ და კვლავ დამკვიდრდა კანნიბალობის, ესე იგი კაციჭამიობის ხანა და გამოქვაბულებში ბინადრობის პერიოდი.

როცა მატრიარხატის ხანამ განვლო და ცხოვრების სადავე ისევ მამაკაცებმა ჩაიგდეს ხელში, ძლივს ოდნავ გაუმჯობესდა მდგომარეობა, ვინაიდან ქვის იარაღების გაკეთება მოახერხეს და ამით ცოტათი მაინც გაადვილეს ბუნებასთან ბრძოლის პირობები.

ქვის პერიოდს ბრინჯაოსა და რკინის პერიოდი მოჰყვა და შემდეგ კაცობრიობის ცხოვრება იმავე გზითა და თანდათანობით წავიდა წინ, როგორც წარსულის ისტორიით ვიცით...

თაგუნა.



დეპეშები.

სუმბათოვო. ადგილობრივ ბაზარზე სანოვაგის ფასმა საგრძნობლათ დაიწია: გირვანქა ხორცი ამ ჟამათ 4 მან. ფასობს, ნიახური ხაშურიდან ჩამოტანილი კონა 1 მან. 60 კ., ქინძი ბორჯომიდან ჩამოტანილი—1 მ. 30 კ შაქარი არ იშოვება, დანარჩენი სანოვაგე თბილისის მაზანდაზე იყიდება.

უცნობი.

—

მარტყოფი. ადგილობრივი საფერშლო პუნქტის ფერშალი იოსებ თუშმალიშვილი—„დოხტურ იოსებად“ ცნობილი, რომელიც ამ ერთი თვის წინად დაგვეკარგა, სრული ცხრა დღის ძებნის და თქვენ პატივცემულ „მათრახში“ გამოცხადების შემდეგ, როგორც იქნა ვიპოვეთ. განუსაზღვრელი იყო სიხარული და აღტაცება, მაგრამ ვაი, რომ ეს ჩვენი ბედნიერება მეტად ხან-მოკლე გამოდგა; შაბათს, 20 ივნისს, დრო იხელთა და კვლავ გაგვეპარა. დღეს უკვე 25 ივნისია, და ჯერაც არ დაბრუნებულა... ვაი ჩვენს უბედო ბედის წყრომას... რა გვეშველება...

„დოხტურის“ უგზო-უკვლოდ დაკარგვით დამწუხრებული და გულ დამწვარი

ლუსკა ჟუჟუნელი.

—

სოფ. ქვალონი. ბიბლიოთეკა-სამკითხველო მოულოდნელად ავათ გახდა. წამლობს ფერშალი ევ. ბაქრაძე.

ახალ-სენაკი. ღამის 9 საათზე პოლიციამ ალყა შემოარტყა პ. დგებუაძის წიგნის მაღაზიას. ჩხრეკამ ღამის 12 საათამდი გასტანა. აღმოაჩინეს აუარებელი: აფიშები, რვეულები და მთავრობის მიერ აღკრძალული წიგნები (სახელდობრ: ეფ. მაკალათიას ლექსთა კრებული და არსენას ლექსი). ესენი ყველა პოლიციამ წაიღო. მაღაზია დაკეტეს, თვით დგებუაძე დატუსაღებულია.

პროვინციელი ჭინკა.

გურული სცენა

ქორწილი.

იტყვიან ერთი ცხვარი, რომ გადავარდება წყალში, ყველა ქე გადაყობა მასო—გურულებიც ასე შობა. წიეფსო ერთი ქორწილს და ყველაი აპირებს წიეფსოს. სხვა დროს კიდევ ხო, ქორწილი თუ ხარჯს არ დაუფარავდა ქე მაინც ერთს შენს მოყვრებს ნახავდი, ერთს გაძღებოდი, ერთს წეიქეიფებდი, მარა სა უნდა გავაჭყიროთ თვალი, ახლა რომ ქორწილს ვიხდით? ვინაა ახლა ქეიფის გუნებაზე, ან ვის აქვს ახლა მისალოცავი ფული. ყოლიკაცი მშიერია, ყოლიკაცი მტირალია, ყოლიკაცს შავი აცვია და ამ დროს ადგება ვინცხა ტვინ ნანჯაყვები, ყაატატაშებს ენას, გააჭრელებს წერილს ქორწილი მაქ (იმ ციცის შარშანის წინ, რომ გავათხუე და ორი კვიცი ყავსო) და „მობრძანებითა შენითა ჭანამხიარულე ჩემი ოჯახი!“ ისე გამხიარულდა მტერის ცოლი და შვილი რაც მე ვარ ახლა მხიარული. როის ვინ დამწვავს რა

ვიცი, როის ვისი ტყვე ვიქნები არ ვიცი, რა დღეს რომელი ბაღანაის სიკვტილს შემიცხადიებენ არ ვიცი, ქალ-ბაღანას სული რეით ჩუუპურო იგი არ ვიცი და ქორწილში მეწვიეო. ამფერ კაცს, დასტურ თუ მისი მოყვარე ხარ, კი უნდა ეწვიო, მარა საქორწილო გატენილი ფიშტოით კი არა, კაი სახორცებელი ბაწრით, კარგა მაგრა უნდა შეკოჭო და მიგვარო თოხაძეს, რომ დააბას და გადარეულის წამალი ასვას. მე ჩემი მოკლე ჭკუით ასე მითქვამს, რომ ახლა ვინც ქორწილს შობა იგიც დასაბამია და ვინც მას ეწვევა იგიც. ქორწილი, ცეკვა, თამაში, სიმღერა და ქეიფი მაშინაა კაი როიცხა ამის ხასიათზე ხარ თვარა ცალი ყბით ქეიფი ვის გუუგონია. ბაღნებს პირში სული ამოვწვადო, იგინის საქმელი ლუკმა შენ მოგიტანო და აგია ჭკუა!? ნეტა მაინც შენ წაგადგებოდეს ჩემი ბაღნების ნაცოდვავი, იგიც ვაჭარს უნდა მიუტანო და ამიზა მცალია მე ახლა? ვერ მოგართვი პატრიჟანი. საუკუნოთ რომ დამეკარგო სამტრო სასიცოცხლოთ რომ გადამეკიდო ახლა ქორწილში არ გეწვევი და ტირილში კი ხეფსი რომ არ ამაღებიო მაინც არ დაგაკლტები. იგიც კი ვიცი აი ტირილი ღმერთმა, რომ აგაშოროს იმ კაცის ყუმბარა მაინც არ აგაშორებს.

პიტნა.

მოსაგონებელ

დიდი ჯიხაიში. (მიბაძვა ილიასი).

ჩვენისთანა ბედნიერი,
განა არის, სადმე ერი?
მისთვის ძუნწი, სხვისთვის უხვი,
მორჩილი და კუჭ მშიერი.
ყრილობაზე ყველა მუნჯი
თავ-მოხრილი, მადლიერი,
მუდამ შრომა, მუდამ ჯაფა,
და ცოლშვილი შინ მშიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი,
განა არის სადმე ერი?
სტარშინა გვყავს მიკიტანი,
მიკიტანი—სუდიები,
მწერალი კი მეწვრილმანე
მოვაჭრე და მანკიერი.

ამისთანა ბედნიერი,
ვინმე არის სადმე ერი?
წამო ბოჭო ტარშინასთან
ბოთლებია—ცარიელი,
სუდიებს ნუ მოვიმდურებთ,
ყველა გვყავდეს მადრიელი.
დუქანია, სავაჭროა,
ვერ მიხვალ ხელ ცარიელი,
ბედიც იმას გაუღიმებს,
ვინც ღვინით, გყავს მადლიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?
გთხოვთ ეშმაკო, გამოგზავნოთ,
აქ მათრახი განიერი.

კიკოლა ბიჭი.

—

კახეთიდან. (ძველი გავაზი).

„ახალ მათრახის“ მეცხრე ნომერში
რეგვენთ ვურჩევდი მორჯულებსა!..
და დროს ვაძლევდი... (მივეც ნუგეში,
რომ არ მივსცემდი დავიწყებასა).
აი, ვასრულებ ნანაპირებსა
და მოვახსენებ ჩვენსა სარდალსა,
რომ გულზე მოხვდათ ცნობილ პირებსა..
შორს გაურბიან ჩვენს სამართალსა!
გაბრაზებული იმუქრებოდენ,
შემოგვითვალეს ლანძღვა-გინება,
გაფაციცებით დამწერს ეძებდენ,
(სჩანს მოეწონათ ჩვენი მხილება?!)

გვაქვს მიღებული მხედველობაში,
თავს რად იწუხებს „მიხაკ-ელია“?!.
ვინც გაებმება ეშმაკის მახეს,
ყველა დარჩება მადლობელია!
„ამირბეგიანც-კატარინესა“
მადა ქანქარის გაჰლვიძებია...
ერთს შელოცვაში მანეთსა იღებს,
(მათრახის კუდის საბოძებია).
ჭვალსა, დამწვარსა, თვალის ტკივილსა,
რო შეულოცავს... ემექნილია!
ჭია მორეულს, გულისა ხივილს,
ასე ამბობენ—მოუგრილია!

მუწუკ-იარის გამოსარჩენათ
„ანო“ მოითხოვს ბატსა და იხვსა...
ხორცს თვით მიირთმევს და მხოლოდ წვენით
მალამოს აძლევს ჩვენებურ ბრიყვსა.
„ელიამ“ გვამცნო: „კახიძეებსა“
შეუსწავლიათ მისგან ნამუსი...
„კოლა კრუხოიჩს“, „ლომიძეებსა“
ცოცხლათ უყლაპავთ ქართველი-რუსი!
შაბიამანი (შარშან მოსული)
ნასყიდი ჰქონდათ ფუთი თუმანში...
სარდაფში იყო გადამალული,
ეხლა ჰყიდიან ფუთს სამ თუმანში.
„გევლოს“ და „ჯიმშოს“ გაუწყრათ ღმერთი!
შაქარს გვაძლევენ — ორ აბაზათა,
(მითხარ, ვიჩივლოთ რომელი ერთი?!)
ნავთსაც — გირვანქას სამ შაურათა.
„მიხაკ-გეურქა“ მუდამ ლხინშია...
ფასი ასწიეს ფარჩეულზედა;
მიტომ ჩავცვივდით გისაჭირშია. .
ლამის დავიხრჩოთ, გავსკდეთ გულზედა!

აჩრდილი.

—

ნაძალადევი. ჯოჯოხეთის მფლობელო ეშმაკო! მაქვს პატივი გაუწყოთ: ჩემს რაიონში სრული სიწყნარეა. ნარდ-დომინოს თამაში ქუჩებში მოისპო, მხოლოდ კარტის ოპერაცია გრძელდება სახლებში ღამის სამ საათამდე. რადგან პური ოან და თან ძვირდება აქაურ მეპურეებს განუზრახავთ წონაში ხელი დაახმარონ, იქნებ ამით იხსნან საზოგადოება მოსალოდნელ შიმშილისაგან. ქუჩებში ნავებით მგზავრობა თითქმის მოისპო. ისეთი დარეები რომ დაეჭირა მოსალოდნელი იყო ჩერქეზოვის სრუტეში გერმანიის წყალქვეშა ნავებს ეჩინათ თავი. სამკითხველო ავათ არის. ამ დღეებში გაუკეთებენ ოპერაციას. ვაჭრები ამბობენ: ქრისტემ ბრძანა ორი პერანგი რომ გეცვას ერთი სხვას მიეციო. აქაურ მცხოვრებს ოთხი პერანგი აცვია — პალტო, ტუჟურკა, ხალათი და ღამის პერანგი, ორი უკვე გაეხადეთ, ორსაც რომ გავაძრობთ მაშინ იქნება ქრისტეს მცნება შესრულებულიო.

შანთი.

—

სოფ. მარტყოფი. (თბილისის მაზრა). წასულ კვირას აქ ერთი მეტათ სენსაციური ამბავი მოხდა: როდესაც ახალგაზრდა ინტელიგენტთა ერთი ჯგუფი, სამკითხველოს წინ შეკრებილი, ჩველებრივად უსაქმოდ ლაყბობდა, ვიღაც ოხუნჯმა შემთხვევით ისარგებლა, ერთ მათგანს ქუდი მოსტაცა და სამკითხველოში შეუგდო. მყისვე შეიკრიბა მთელი მარტყოფის ინტელიგენცია და დაიწყეს ბჭობა იძის შესახებ, თუ როგორ დაიხსნან ქუდი. ბევრი თავის ხეთქისა და რჩევა-დარიგების შემდეგ, გადასწყიტეს, იხელმძღვანელონ სტრატეგიული მოსაზრებით და ქუდი სამკითხველოდან არ გამოიტანონ, ხოლო, რომ შემდეგშიც არ გამეორდეს ამისთანა ამაღელვებელი და შემაძრწუნებელი ამბავი, სამკითხველოს სრულიად არ გაეკარონ სიახლოვეს. ეს დადგენილება დიდის აღტაცებით და „ვაშას“ ძახილით მიღებულ იქმნა ერთხმად.

ჯიუტიტო.

—

სამეგრელოდან. ბიძია ეშმაკო! ნუ იტყვი ვითომ ჩვენ არ გვყავდეს სასწაულთ-მოქმედი. რაკი ტყემალი ჩვენში ერთობ გამოილია, რომელიც მეგრელებს სიმინდის, ღომის „მაგიერობას უწევდა, ბ-ნ გ. ქ-რაძემ გამოიგონა, ან უკეთ ვსთქვათ აღმოაჩინა ერთ ნაირი საკვები რომელიც ფუთი 1 მ. 3 კ. ფასობს. მთელ ოჯახს ერთ თვეს ყოფნის ფუთი, თუ გინდ 12 სულიც იყოს ოჯახში. მეგრელებმა მას სახელად სიმინდი დაარქვეს. (ალბათ ჩვეულებრივ სიმინდის მეტი სიყვარულით) როგორც ზრგდიდიდან მეცნიერი ექ. დგებუაძე, სენაკიდან ხოფერია და ქუთაისიდან ექ. ბადრიძე ამტკიცებენ, საერთოდ აღებული ამ საკვებისა რამოდენიმე ნაწილი ვითომ სიმინდსა ჰგავს, ნაწილი ქვასა და ზოკიერთ ნაწილის სახელი ჯერაც საიდუმლოებითაა მოცული. ამიერიდან მეგრელებს თამამათ შეუძლიან იამაყონ ბ-ნ გ. ქ-ით. ამ შესანიშნავ პირობების შესახებ საჭიროა ხმა ამოიღოს ექ. ივ. გომართელმა, როგორც ექიმმა და თანაც კრიტიკოსმა.

პროვინციელი ჭინკა.

—

სოფ, შილდა. (კახეთი).

მაქვს პატივი მოგახსენოთ —
ჩვენი შილდა ლამაზია!..
მასპრ კოხტას ვერსად ჰპოვებთ,
გინდ მოიაროთ აზია.
განაპირა ბილიკ-გზები
გამშვენიერებულია...
ყოველ ფეხის გადადგმაზე
ტლაპო*) დაგუბებულია.

*) ტლაპო გახლავთ მშვენივრათ გათქვეფილი სქელი ტალახი, (სურნელოვანი ნივთიერებით შეზავებული) რაშიც ადგილობრივი დასიცხული ღორები, არხეინათ ბანაობენ.

სიბნელე და უმეცრება
ხალხში გავრცელებულია,
მკითხავი და ცრუ ექიმი
მითი გამდიდრებულია.
მამა-პაპის ადათ-წესი
ჩვენში მტკიცეთ დაცულია,
თეთრ გიორგში სალოცავათ
ხალხი მრავლათ გასულია.
მკითხავების ჩაგონებით
ყველა დარწმუნებულია:
ხატი შველის ავათმყოფსა,
საწირავ მოვლებულია.
ხატებმაც თუ ვერ გვიშველეს
არ გაგვიტყდება გულია,
საექიმო ასპარესზედ
„სამსონიკა“ ქებულია!..
მის წამლები არვის გვაწყენს,
ტკბილათ შეზავებულია;
სამასალოთ მურაბები
„ნუშკოს“ გაკეთებულია!
ქალთა სნეულობისათვის
ეს ვარგისი მკურნალია...
ნახარშ გვირილისა წვენი
გვარიანი წამალია!
აქ კულტურა ძლიერ ყვავის,
ბერი განათლებულია!..
და რუსული ლაპარაკით
თავი გაბრუებულია!
სამკითხველო (ცარიელი)
სულ ყოველ დღეს გახსნილია,
ხოლო, ცხვირ წინ მოედანი
„დამ-კავალრით“ გავსილია.

აჩრდილი.

—

სოფ. ჭაგანი. საკითხი აღიძრა:
—ქელეხი მოვსპოთო,
მით შა-ბედ ცხოვრებას
მალამო მოვსცხოთო.
რა ეს გაიგონეს
ამხედრდენ ლოთები,
ბახუსის მოძმენი
და პატრიოტები.
ეკვეთენ მშრომელ-ჯგუფს,
ჰქმნეს აყალ-მაყალი,—
ვნახოთ ვის შერჩება
ხელთ პრასა დამპალი.

ჭაგნელი ბზიკი.

—

სამეგრელოს გმირს.

იცნობს მთელი სამეგრელო,
ტანს აცვია ანაფორა,
დღე და ღამე „საქმიანობს“,
არ გეგონონ მუქთა-ხორა.
ცალ ხელში აქვს სახარება
მეორეში სიბრძნის თორა,
ცის და მიწის კანონები
ჯიბის კანონს გაუსწორა.

—

გამგე გახლავს ერთი სკოლის
პედაგოგი ჯვაროსანი,
ყოველ დარგში უბადლოა
კურთხეული ხელოსანი.
ეპარქიის საბჭოს წევრებს
მისი შიში აფრთხობს ძველი,
რადგან იგი არვის ინდობს,
ყველას შხამავს როგორც გველი.
თანამშრომელ მასწავლებლებს
აღარ აგდებს თითქმის ჩირად,
რადგან, ურჩებს, თავის ნებით
ქე აძევებს ხოლმე ხშირად.

უჩა.

—

ს.ს. ღანირ-ჭაგნის ბაზარი.

ღანირ-ჭაგნის ბაზარსა,
(არც ცოცხალსა, არც მკვდარსა)
ბლომათა ჰყავს ბატონი
და არავინ პატრონი.
გადის შვიდი წელია,
(უსარგებლო მწველია)
ბაზარი არ იზრდება,
ვაჭრობა კი მცირდება.
იფშუკება დუქნები,
(შიგ ვაჭრები მსუქნები)
ცრემლებათა დნებიან
უნუგეშოთ კვდებიან,
ბაზრის მეთაურებმა
(წკეპლით შესახურებმა)
ხალხს გააძვრეს ტყავები,
(თვით გასუქდენ სვავები).

ჭაგნელი ბზიკი.



პატარა ფელეტონი.

ძმები.

(იგავი)

„Что дѣломъ, не сведя конца,
Не надобно хвалиться“.

კრილოვი.

სამი ძმა იყო. სამივეს
სიმწრისა ოფლი სდიოდათ,
დიდ ჭამას იყვნენ ჩვეულნი—
ვერ მიდიოდენ იოლათ!
მათი ოჯახი გაფცქვნილი
უფინდიკო და ფუტურა,
არ იქნა მათმა ოფლის ღვრამ
სავსებით ვერ დააბერა...
დიდი შრომითა, წვალებით
ებრძოდენ დუხჭირ ცხოვრებას,
ერთმანეთს ნდობით შესცქერდენ
ფიქრობდნენ გამოსწორებას.
ერთ მათგანს ერქვა არჩილი
მეორე—იაკობია,
მესამეს კიდევ დავითი—
(უნცროსი, ხელ-შემწყობია).
ყველა ერთპირათ საქმობდენ
არ ჩანდა უთანხმოება,
მაგრამ ეს იყო ცოტა-ხანს
შემდეგ იცვალა დროება:
არჩილმა აღარ ინდომა
თვის ძმებთან მოღვაწეობა,
ჯერ იაკობი იფრინა—
მერე დავითის მზეობა!
იფიქრა: „ძმებთან ერთობით
საქმეს ვერ მოვაგვარებო,
მარტო დავრჩები ოჯახში
და წეს-რიგს დავამყარებო“.
მან მიჰყო ხელი ფართიფურთს
შრომობდა დღით და ღამითა,
მაგრამ თანდათან ჩამოხმა
კუჭს ვერ იძღობდა ჭამითა!
მეზობლებს გადაეკიდა—
სწამლავდა გესლით, შხამითა,
თან ყოყოჩობდა ძმებთ შორის
თავი მოქონდა ამითა:
„ხომ ხედავთ, როგორა ვიბრძვი
ოჯახის დასაცველათო,
ჩემი ასეთი გმირობა
არვის უნახავს ძველათო!
როცა ჩვენ ერთათ ვიყავით
ურთ-ერთის მისაშველათო,
მტრებს ჩვენკენ თვალი ეჭირათ
დასამხობ-დასაქცევლათო...
ეხლა-კი ხმას არ იღებენ
ნაკლებათა მყავს მტერიო,
ერთი სჯობია გულადი
ვინემ ლაჩარნი ბევრიო“!..
და ასე, ყველა ცალ-ცალკე
საქმობდენ ღვიძლი ძმებია,
არც ერთს „ფინდიკა“ არ ჰქონდათ—
ჭამა-სმა შესარგებია!
ბოლოს ერთმანეთს ჩაკორტნეს
მთლათ აერიათ გზებია,
(იგავი ესე ნამდვილი
ადვილათ გასაგებია)!..

ალბურიონი.

სასტიკი მსჯავრი.

(ანეგდოტი)

რუსი, ფრანგი, ინგლისელი და ებრაელი შეერკრიბენ.

უნდა გადაეწყვიტათ შემდეგი საკითხი: როგორ დაისაჯოს იმპერატორი ვილჰელმი, გერმანია რომ დამარცხდება და კაიზერი ტყვეთ ჩაგვივარდებაო.

რუსმა სთქვა: ყველას აჯობებს, საუკუნო კატორღა მიუსაჯოთ და სახალინზე გავგზავნოთ სასჯელის მოსახდელათო.

— ეგ არ ვარგაო, განაცხადა ფრანგმა: ისევ ჩვენი ქალაქების გამანადგურებელ ცეპელინში დავამწყვდიოთ ჰაერში გაუშვათ: დეე იხეტიალოს ცის სივრცეში, ვდრე შიმშილით სული ამოხდებოდესო.

— არაო, ჩაერია ინგლისელი: ჩავსვათ წყალქვეშა ნავში, დავკეტოთ და ზღვის უფსკრულში ჩავანარცხოთ. დეე იმავე, ნავმა დაჰღუპოს, რომელმაც ჩვენ ამდენი სამხედრო და სავაჭრო გემები დაგვიღუპაო.

ებრაელმა გულიანათ გადიხარხა:

— განა ეგ სასჯელია? თუ მართლა დასჯა გინდათ, მიეცით ებრაელის პასპორტი და გაუშვით რუსეთში საცხოვრებლათო.

მოსე თოიძის გამოფენაზე.



ქალებო, გონს მოდით!



გერონტი ქიქოძე. ...ჩვენს ხელოვანს ყველაზე მეტათ ქალების გამოხატვა ეხერხება. ისინი სუმბულივით ნაზნი და თავდახრილნი არიან. ოცნება და ვნებათა ღელვა მთელ მათ სხეულშია გამჯდარი, მათი არსება კი უცნაურად მომხიბლავი და **სურნელოვანია**.*)

*) ალბათ სურათზე საღებავისაგან.

ეშმაკი.

ვ. რუხაძე. ქალებო, გონს მოდით! ნუ გახდებით უმეცრების მსხვერპლნი. ძირს ცარცი და თუნდა „კოქშის უმარული“, გაუმარჯოს „ბოდლოს“ საპონს. ხედავთ, როგორ ჩინჩავს ცარცი თვით უმაგრეს ტომარას? წარმოიდგინეთ რას უზამს სახეს!...

P. S. ვთხოვთ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას უფასოთ კაბვრტელდოს ხალხში ეს საინტერესო სურათი.

ეშმაკი.



მესტვირული

აბა ელია მელია
ცხოვრება გახდა ძნელია,
აქეთ თათარი მოგვადგა
იქ ავსტრო-გერმანელია,
იქ იმას, აქეთ ამასაც
აშლიათ საღერღელია.
ამბავს სოფლისას ნუ მკითხავთ
ცრემლი მდის უშრობელია
სამეგრელოს და გურიას
თითქმის რო მოწყდა წყლია.
ჩვენი აკაკი ჩხენკელი
კაი დროს მოეშველია
ცოტ-ცოტას ყველას აძლევენ
ვინც მიაწვდინა ხელია.
მომავლისათვის ყანები
ნახევრად უთესელია
გაისათ ვარეს მოელის
ვისაც მიყობა წელია,
ეს შიმშილობა ოხერი
რა ძნელი გასაძელია.
სულის მამებზე ჩამოდგა
ეშმაკო, ჩემო, ჯერია
დღე და ღამ ხატის წინაშე
ის პირჯვარ დანაწერია,
ჰკითხო: ხალხისთვის ვწირავო
სჯულის წიგნაკში წერია
დრამა ფულისთვის მათ ცოლ-შვილს
სულ მთლა დაუფსეს კერია,

ნახურისპირელი.

„ეშმაკის მათრახის“ ხელმძღვანელთაგანი ბ-ნი თაგუნა. საგარაკოთ გამგზავრების გამო., სურათი გადაღებულია ბორჯომის ხეობაში.

კორესპონდენტის ბედი.

ვოდევილი ერთ მოქმედებათ

(გუძღვნი „მათრახის“ კორესპონდენტებს).

მომქმედნი პირნი:

პეტრე დევნილაძე—კორესპონდენტი 25 წ.
ნესტორი—პეტრეს მეგობარი 27 წ.
პეტრუზ მიკირტუმიჩ—ვაჭარი 40 წ.
სირანუშა—პეტრუზას ცოლი 43 წ.
ქერქეტაძე—პროვინციელი აქტიორი 32 წ.
თავადი მანუჩარ—პრაპორშჩიკი 55 წ.
თავადი მურზაყან მწყერაძე— 35 წ.
ეფროსინე—მაჭანკალი 45 წ.
ლადიკო—გაზეთის დამტარებელი—20 წ.

მოქმედება სწარმოებს პროვინციაში.

I.

პეტრე, შემდეგ ნესტორი.

(სცენა წარმოადგენს პეტრეს ოთახს. ოთახი დარიბულადთავ მოწყობილი. „კუშეტკა“, რამდენიმე კავანტუდი სკამი და სამწერლო მაგიდა. მაგიდა ყუნაულ-კაზეთებითავ სავსე. პეტრე მაგიდას უზის და სწერს. ფარდის ახლის შემდეგ ბაუზა. ისმის კარების რახუნი).

პეტრე. მობრძანდით, მობრძანდით!

ნესტორი. (თავს შემოყოფს კარებში და აქეთ-იქით იყურება). მარტო ხარ?

პეტრე. ოჰ, ნესტორ, მოდი კაცო, მოდი. როგორ უცხოსავით იყურები აქეთ-იქით!

ნესტორი. სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. რა ვიცი იქნება უცხო გყავს ვინმე და ჩემებურათ რომ შემოვგლიჯინდე არც ის ივარგებს.

პეტრე. ვინ უნდა მყავდეს! ცოლი მე არ გამაჩნია და შვილი.

ნესტორი. რა ვიცი, კორესპონდენტი კაცი ხარ და შეიძლება რომელიმე შავთვალა ბარიშნა, კავალრისგან განაწყენებული სააღსარებოთ იყოს მოსული მეთქი, მომერიდა. კაცნი ვართ, იქნება სიყვარულის კამბეჩა შენც გაგიფრინა და უდროო დროს რომ ხელი შეგიშალო ხომ ჩავდექი შენ ცოდოში.

პეტრე. „მელას რაც აგონდებოდა ის ესიზმრებოდაო“. შენა გგონია, როგორც შენ დაჰყვები კუდში იმ შავთვალა ბარიშნებს, ისე ვარ მეც?

ნესტორი. (სიცილით) არა, შენ ნუ მომიკვდები, შენ კი ხელს დაიკლებ! გაშლილი ზონტიკი რომ დაინახო, ქალის იუბკა გგონია. სხვა, პეტრუზა გამოსჩემე გაზეთში თუ არა?

პეტრე. გაზეთში კი არა, ჟურნალ „მათრახში“ გავგზავნე მის შესახებ წერილი და კარიკატურა. მგონია დღეს იყოს დაბეჭდილი.

ნესტორი. (გაკვირვებული) რაო, კარიკატურაო! (იცინის) ხა, ხა, ხა, ხა! ბიჭო და ხომ გადაგასახლებს. სახლში მოგივარდება და მოგთელავს, არ უნდა ლაპარაკი.

პეტრე. იმის მოთელილი კაცი შევარცხვინე. კაცს კრუხისა ეშინიან, ნესკარტი არა მკრასო და ის გაჰბედავს რასმე!

ნესტორი. რა ვიცი ტრაბახობდა: „ერთი ცაცია მუშტი ვიცოო და ვისაც დავაფარებ მირონში, ტერტერა ზიარებას ვეღარ მოასწრებსო“.

პეტრე. სიტყვა რომ არა ჰქონდეს, ხომ თაგვები მოიტაცებდენ და სოროში შეაძვრენდენ. არა, თუ ძმა ხარ, განა მაგისთანა ჩარჩების საქციელი დასამალავია? წარმოიდგინე მაგ ჩარჩმა ისარგებლა შემთხვევით და თვრამეტ აბაზიანი შაბიამანი ოც მანეთად გაყიდა. უარესის ღირსია ეგ გაუმაძღარი წუბელა ეგა!..

ნესტორი. მე კი ვერ გაუძლებ პეტრუზას გინებას და შენ იცი. ვიცი დღეს აქ ნამდვილი ომი იქნება. (იცინის).

პეტრე. არაფერიც არ იქნება. რას გაიგებს რომ ჩემი გაგზავნილია!

ნესტორი. იმინ კი არა მთელმა პროვინციამ იცის, რომ შენ აგზავნი აქედან კორესპონდენციებს. ყველას შენზე აქვს ეჭვი, პროვინციაში, ჩემო პეტრე, არაფერი დაიმალება. ხელათ გადასცემენ ტელეგრამას ერთმანეთს. (იცინის) აბა, ახლა შენი წეწვა ნახე! აღარ გინდა რომ იმის დუქნის წინ გაიაროო? ზედ ტროტუარზე წამოგაქცევს და იმდენს გირტყამს, რომ ერთიც ვერ დასთვალო. მერე ცოლიც თუ წამოეშველა. აბა სეირი მაშინა ნახე.

პეტრე. ბიჭო, ცოლს რაღა საქმე აქვს ჩემთან!

ნესტორი. ყურუმსაღო, ქმარს ულანძღავ, საქვეყნოთ თავსა სჭრი და მაშ მოგიწონებს! (იცინის) ხა, ხა, ხა, ხა—თუ დაგეტაკა ის რუმბივით დედაკაცი, ნამდვილათ ბაზრის ბოლოში გადაგისერის, ხუმრობა ხომ არ არის, იმ უზარმაზარი ყუმბარის დატაკება! (იცინის).

პეტრე. რა ვქნა, რაც იძნება, იქნება. (ბაუზა) რა ამბავია რომ დღეს გაზეთმა დაიგვიანა! (მოისმის ლადიკოს ხმა: გაზეთი, ჟურნალი, ტელეგრამა, ცხელ—ცხელი.) ოჰო, ლადიკოც მოდის!

II.

პეტრე, ნესტორი და ლადიკო.

ლადიკო. (შემოდის ქაქანით. ჟურნალ—გაზეთები უჭირავს ხელში) ოჰ, რა ამბავია!

პეტრე. (ლადიკოს) რა იყო, რატომ დაიგვიანე.

ლადიკო. რას ჰქვიან დავიგვიანე! ერთი აურზაურია ბაზარში.

პეტრე. რა მოხდა, აღარ იტყვი!

ლადიკო. ჩვენი ვაჭარი პეტრუზა ბრაზისაგან კბილებს იგლეჯს. მაინც და რანაირათ დაგიმახინჯებია ბატონო, ის კაცი! ნამდვილი მაიმუნია ღმერთმანი. ცოლი გემუქრება, ბატონო, ცოლი. (ჰჯავრებს) „ერთი აქეთ გამაიაროს იმ შანტიკლორის კავალერმა და ჩემი ქალობა გაქრეს, თუ ზონტიკი არ დავამტვრიო თავზეო“.

პეტრე. (ლადიკოს) მაჩვენე ჟურნალი. (გამოართმევს ჟურნალს. ნესტორი და პეტრე სინჯავენ და იცინიან).

ნესტორი. (გადახარხარებს) შენ ამოგაგდებს ღმერთი. ეს რა გიქნია კაცო! (ნახატებზე უჩვენებს) ბიჭო, ეს ცხვირია თუ კურტანი!?

პეტრე. (ლადიკოს) ვის აბრალებს პეტრუზა, თუ იცი?

ლადიკო. ვის აბრალებს კი არა ნამდვილათ სახლში მოგივარდებათ. სულ იმ მშიერი პეტრეს ბრალიაო იძახის.

ნესტორი. (ლადიკოს) როგორ, ლადიკო, პეტრუზას ცოლი რას ამბობს, ზონტიკს დავამტვრევო?

ლადიკო. (კაკვირვებით) თქვენ უნდა ნახოთ როგორ იწყევლება! (ჰჯავრებს) „ცეცხლათ უქციოს ფეთხანის მადლმა ჩემი კაკლის მურაბაო. ქა, უყურეთ იმ ბუნტოვჩიკ პეტრეს ეს რა ოინი უქნიაო!“ არ ვიცი, არ ვიცი, ბატონო პეტრე, თუ ახლა პეტრუზას გადაურჩით, კარგი ვაჟკაცობა უნდა! საცაა ახლა აქ გამოჩნდება და აბა ვინძლო მაგრა დახვდეთ (გადის. კულისებში ისმის ხმა): გაზეთი, ჟურნალი, ტელეგრამა, ცხელ—ცხელი ამბები!

III

პეტრე და ნესტორი.

ნესტორი. (სიცილით) როგორაო, პეტრე, რას გაიძახის ის დედაკაციო? შანტეკრელის კავალერიო, ჰა? (ჰჯავრებს) ცეცხლათ უქციოს ფეთხანის მადლმა ჩემი კაკლის მურაბაო დიდი უპურმარილო კაცი ხარ ჩემო პეტრე. ის ქალი მურაბით გიმასპინძლდება და შენ კი ასე გადაუხადე! აბა ახლა შენი ქოჩრის გლეჯანახე

პეტრე. ეგ არიფერია, პეტრუზას და მისი ცოლის გაწყრომას გაუძლებ, მაგრამ საქმე ის არის, ჩემო ნესტორ, რომ მთელ პროვინციას ეჭვში შეიყვანს იმათი ყვირილი. რამდენი კორესპოდენციები მქონდა დასტამბული ამა თუ იმ პირზე და მართალია ეჭვი კი ჰქონდათ ჩემზე, მაგრამ დარწმუნებით არ იცოდენ თუ მე გაზეთებში წერილებს ვათავსებდი. ეხლა კი მაგ ჩარჩ პეტრუზას ყვირილზე ნამდვილათ დარწმუნდებიან და გადამასახლებენ აქედან. აბა ვნახოთ ყოველ დღიური გაზეთები, შეიძლება დღესაც იყოს რამე მოთავსებული. (სინჯავენ ორივენი).

ნესტორი. ბიჭოს, ეს რეცენზია აქედან არის! ვისია პეტრე?

პეტრე. (დახედავს გაზეთს) ვისია და ჩემი. დასწყევლოს ღმერთმა რაღა დღეს მოუთავსებიათ. აქეთ პეტრუზა, იქით ჩვენი თავ ცარიელი არტისტი და სცენის მოყვარეები, რომელ ერთს გაუძლო!

ნესტორი. ვაგწეწენ პეტრე არ უნდა ლაპარაკი. (სიცილით) აბა შენი ულვაშების გლეჯა ნახე ახლა (გაზეთს კითხულობს).

პეტრე. შენ ისა სთქვი მანუჩარას თუ გადაურჩი. ხომ იცი ბებერი პრაპორშჩიკი ბრძანებას და ყვირილს ჩვეულია. იმის ღრიალს ვინ გაუძლებს!

ნესტორი. მერე შენ ახირებული წერა იცი, ჩემო პეტრე. კაცი შეგირცხვენია და თავი მოგიჭრია. ხუმრობა ხომ არ არის! რომ წაიკითხავს ქარებიანი და ბუასილიანი მანუჩარიო, გადაირევა, მაშ რა მოუვა! კაცი თავს იჯეილებს, ქალებში არ შიყობს და შენ ქარებიანს ეძახი. (ფეხის ხმა ისმის) აბა მაგრათ იყავ, მგონი ვიღაც მოდის შენ საჩხუბრათ. (შემოდის პეტრუზა).

(შემდეგი იქნება).

გოგია.



გულს ნუ მოიყვან!
და
გულს ნუ გაიტეხ!

— შენს შვილს გულის სისუსტე აქვს. სიწყნარე, დამშვიდებული ცხოვრება პირველი წამალია. ეცადეთ, უბრალო რამეზე გულს ნუ მოაყვანიებთ.

დარბაისელი კაცის კილოთი უთხრა დავით ექიმმა ივანეს, როცა ამ უკანასკნელმა ეზოს კარებამდე მოაცილა იგი და დარცხვენით ხუთ მანეთიანი ქაღალდი ჩაუდო ხელში.

— ვეცდები ბატონო, განა მეტი რა გამაჩნია, რომ მაგასაც არ მოვერიდო და არ გავუფრთხილდე. განა ახლა კი არ ვერიდებით?

— მაშ ეგრე, ეცადე, ეცადე!

——

— აი შვილო, შენ რომ გიყვარს უბრალოზე შეფხუკურება და გულის მოსვლა. ექიმმაც სწორეთ ესა სთქვა: რაც შეიძლება ნაკლებ მოიყვანოს გული, უბრალოზე ნუ გაცხარდება, დამშვიდებული ყოფნა პირველი წამალიაო. დაიჯერე შვილო, ეცადე არაფერზე აღელდე, საწყენს მოერიდე. ისეთს, რაც არ გესიამოვნება ნუ გაიგონებ შეიძლება ვინმემ უნებურათ კიდევაც გაგაჯავროს, მაგრამ შენ ყურადღებას ნუ მიაქცევ. ექიმი ტყვილათ ხომ არ იტყოდა, მოსვენებული და მშვიდი ცხოვრება ესაჭიროებაო. ჩვენ ყველანი ვცდილობთ....

— მამა, დამანებე თავი, არ შემიძლია მეტის ატანა, არა...

— კარგი, კარგი შვილო! მამაშენს თავისი მწუხარება ალაპარაკებს, შენ გენაცვალოს დედაშენი. ერიდე შვილო უბრალოზე აღელვებას. ვითომ რა გაკეთდება, რომ შენი ხელით სიცოცხლე შეიმოკლო. საწყენს მოერიდე შენ გენაცვალე. ექიმს ჩვენოდენა ჭკუა თითის ფრჩხილებში აქვს.

— მეც მაგას არ ვამბობ? ის ჭკვიანი კაცი გირჩევს არ აღელდე, უბრალოზე გული არ მოიყვანოო, წყნარი, დამშვიდებული ცხოვრებაა საჭიროო და შენ კი არ გინდა შვილო სასარგებლო რჩევა დაიჯერო. მაშ რისთვის მოვიყვანეთ, თუ რასაც დაგვარიგებს არ დავუჯერებთ და ჩვენებურათ მოვიქცევით. ძნელი მაინც იყოს ასრულება. იყავი, შვილო შენთვის წყნარათ, მშვიდობიანათ; რაც არ გესიამოვნება იმას ყური მოარიდე. ჩვენ რაც შეგვიძლია ხელს შეგიწყობთ და მიზეზებს არ მოგცემთ გაჯავრებისას თუ კი მარტო წყნარი ცხოვრება...

— მამა, იწამე ღმერთი, მომასვენე ცოტა, მომშორდი, მომშორდი. სული მეხუთება...

— კარგი შვილო, კარგი! აღარაფერს გეტყვი. შე უბედურს მინდა კარგათ მყავდე, მალე მორჩე გვერდში ამომიდგე. განა ამისთვის არ მოგიყვანე ექიმი, ამისთვის არ მივეც უკანასკნელი გროშები? მაშ როგორ იქნება თუ მის დარიგებას არ მივაქცევთ ყურადღებას, თუ თავს არ გაუფრთხილდები და წამ და უწუმ უბრალოზე გაანჩხლდები, გაბრაზდები? ამით ხომ უფრო იმოკლებ დღეს და ღუპავ ოჯახს? მე, შვილო, უბედური მამის გულისტკივილი მალაპარაკებს. როგორ არ გითხრა, რაც სათქმელია და რასაც უნდა მიაქცო ყურადღება. თუ თავის თავი არ გენანება უბედურ მშობლებს მაინც მოგვხედე; რა დღეში ვართ. ეცადე შვილო, ეცადე. უბრალოზე გულს ნუ მოიყვან. სიწყნარე ყველა ავათმყოფს სჭირია და ვისაც გული აქვს სუსტი იმას ხომ უფრო. ექიმი მართლა სულთამხუთავი ხომ არ არის. მისი დარიგება ისე უნდა შევას...

— მომშორდი სულთამხუთაო, მომშორდი. მიშველეთ... მიშვ....

ავათმყოფს გულის ცემამ უმატა, სახე გაუფითრდა, კანკალი დააწყებია და მიიბნიდა.

— მიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანი, მიშველეთ, სასოწარკვეთილებით იძახოდა საბრალო ივანე.

— ვაი ჩემს უბედურობას, ვაი ჩემს სიცოცხლეს რა ვქნა ქრისტიანებო, არაფერი არ გადის. არც ექიმი, არც დარიგება. მუდამ ამას ველაპარაკები: გაუფრთხილდი, უბრალოზე გული არ მოიყვანო, წყნარათ იცხოვრე მეთქი, მაგრამ არა, ეს უბედური მაინც ძალით იმოკლებს სიცოცხლეს, თავისი ხელით იკლავს თავს..:

—

სამი თვის შემდეგ ივანე უკვე შავებში იყო შესუდრული. ის თითქმის არავის აღარაფერს ეუბნებოდა, ინსტიქტიურათ თუმცა საქმობდა ოჯახში და მიუხედავათ დიდი დანაკლისისა გულს იმედს მაინც არ აშორებდა. მეზობლებიც ჩვეულებისამებრ ანუგეშებდენ მას:

— ნუ გეშინია ივანე, მართალია დიდი უბედურობა დაგატყდა, ოჯახი თითქმის გაგინახევრდა, მაგრამ კაცმა ყველაფერს უნდა გაუძლო. დამწუხრებული თანაგრძნობის კილოთი უთხრა მას ერთმა მეზობელმა.

— ცხოვრება ასეთია, ჩემო ივანე, დღეს ერთს

დაანგრევს, ხვალ მეორეს აა შენებს. შენ დიდი, ძლიერ დიდი უბედურება გეწვია, მაგრამ უნდა გაუძლო. ვინ იცის ქვეყნის საქმე. გულის გატეხით აბა საქმეს რა ეშველება. დასძინა მეორემ.

— დიდებული შვილი დაგეკარგა და ოჯახი დანგრევის გზაზე დაგიდგა, ძამია, მაგრამ ვაჟკაცობაც ის არის ასეთ დიდ გასაჭირს გაუძლო ქეიფში ყველა კარგი ბიჭია. უთხრა მესამემ.

— შენ ხომ არა ხარ, კაცო, პირველი, ან უკანასკნელი? რაც ქვეყანა არსებობს მას შემდეგ ასე მოდის ჩვენი ცხოვრება. ერთი მოკვდება, მეორე დარჩება. შენს ოჯახს საშიშარი მეხი დაეცა და დანგრევას ეჭადის, მაგრამ მოიკრიბე ვაჟკაცობა, გაუძელი გასაჭირს. უთხრა მეოთხემ.

რაც დრო გადიოდა ივანეს მეტი დაღვრემილობა ეტყობოდა. ის თანდათან რწმუნდებოდა, თუ რა უნუგეშო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი და თითოეული გამამხნევებელი სიტყვა ახალ სა. ბუთს ასახელებდა მისი უმწეო მდგომარეობისას.

მეოთხე თვეზე ივანე ლოგინში ჩაწვა. ის აღარავის კითხვაზე პასუხს აღარ აძლევდა. სანახავად მოსული მეზობლები თუმცა კვლავინდებურათ ანუგეშებდენ:

— გულს ნუ გაიტეხ, ივანე, ღმერთი მოწყალეა, შვილი მოგიკვდა, სამაგიეროთ ამდენი მიწაწყალი გაქვს, ცხოვრებას მაინც გამოაკეთებო.

მაგრამ ივანეს აღარ ესმოდა მეზობლების დარიგება და გულის გასამაგრებელი სიტყვები. ის ჩუმათ, სადღაც გულის მიყრუებულ კუნჭულში გრძნობდა, თუ როგორ მსუნაგური მადით შესცქეროდენ მოსაზღვრე მეზობლები ივანეს ვრცელსა და მდიდარ უჭირისუფლო მამულს.

გრძნობდა მაგრამ ის აღარავის პასუხს არ აძლევდა.

ეშმაკი.



ქუთაისს. ბიკენტის. (კირაკოზოვის კედელზე წასაწერათ). თქვენი წერილი მივიღეთ. „გოჟი“ გაგვექცა. დაჭერა ყოვლად შეუძლებელი გახდა.

ლულას. ჭეშმარიტათ, დაუსრულებელი არა არს რა ქვეყანასა ზედა და სამი დღის განუწყვეტლივ კითხვის შემდეგ თქვენი ლექსის დასასრულსაც ვეღირსეთ. ასე ათავებთ:

„ჩემი კალამი წვერ-გესლიანი
არ დაისვენებს მანამდე,
კაცთა ულტა და სისხლის ღვართქაფი
არ გათავდება სანამდე“...

თქვენი თხზულება რედაქციამ ვილჰელმს გაუგზავნა. თუ პირობას არ უღალატებთ და „კალამს დაასვენებთ“, დარწმუნებული ვართ, კაიზერი დაუყოვნებლივ ზავს ჩამოაგდებს.

ბორჯომი. ს. კ—ს. თქვენი ცნობა შეუმოწმებლათ არ დაიბეჭდება: 5 ჭიქა ჩაიში 6 მანეთი აღლოთ—ყოვლად შეუძლებელია, თუნდაც ბორჯომში და ამ სიძვირის დროსაც. თითო ჭიქას ექვსი აბზი, მოსდის. გთხოვთ გვაცნობოთ: რა გემოსი იყო მაინც ეს ექვს აბაზიანი ჩაი?

ოზურგეთი. კერპს. გაფიცებთ ცოლშვილს (თუ გყავთ), დედ-მამას (აგრეთვე თუ გყავთ), პატიოსნებას (თუ გაქვთ), თქვენ ღმერთს (თუ გწამთ) —თავი დამანებეთ! აღარ შეგვიძლიან! ვერ აუვედით თქვენი კონვერტების ხსნასა და ხელთნაწერების კალათში გდებას... გევედრებით მოიშალეთ ეს საძაგელი ჩვეულება და დაანებეთ თავი წერას! მზათა ვართ კერპთაყვანისმცემელი გავხდეთ და ყოველდღე მსხვერპლი შემოგწიროთ ხოლმე. ოღონდ შეგვიბრალეთ!

ნეტარხსენებულს. თქვენ გვპირდებით:

„ჯერ-ჯერობით ეს იყოს და მერე უფრო კარგებს გამოგიგზავნითო“.

დალოცვილო, „აზირ“ უფრო კარგებით დაგეწყო არ ჯობდა?

არ დაიბეჭდები.

მზინაკ.

„ფეხ მძიმე მხედრები“.

კარგა ხანია ჟურნალ-გაზეთები გვაუწყებენ: მტრის ჯარში ქალებიც იღებენ მონაწილეობას. ვინაიდან ვაჟთა რიცხვმა საგრძნობლათ იკლოო ჩვენ ეს არ გვჯეროდა, მაგრამ ახლა არ შეგვიძლია არ ვირწმთნოთ, ვინაიდან უნიჰიერესი ქართველი მწერალი ი. დათიაშვილი სწერს ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრება“-ში:

„ფ ე ხ მ ძ ი მ ე დ დაეხეტებოდა მტრის ბანაკს მოწყვეტილი ხუმარა მხედარი და დაჟანგულ თოფს კონდახით ნაჯიჯგნ მიწაზე დაატარებდა“.

ჩვენ გვაკვირვებს მხოლოდ ერთი გარემოება: რათ უნდა **ფეხმძიმე** მხედარს „შავი რაში“ და ისიც „ცეცხლის მფრქვეველი“? ის არ ურჩევნია სამშობიარო თავშესაფარი ინატროს?

—

აკაკისებური(?!)

ქუთათურ გაზეთ „საშშობლო დედის ძუძუის“ დამატებაში (№ 17) მოთავსებულია „აკაკისებური ლექსი“. ვინმე ლავრენტი წერეთლისა. სხვათა შორის იქა სწერია:

„ვინც ქართულათ ლაპარაკობს
განა ყველა ქართველია?
ნახევარი, თუ არ მეტი
ქრისტეს მცნების მგმობელია“.

საქართველო არ დაუვიწყეს ია ეკალაძეს ამ უბადლო მგოსნის აღმოჩენას მაგრამ,

ვინც ქართულად ლექსებსა სწერს
განა ყველა აკაკია?
ნახევარი, თუ არ მეტი
მათში მხოლოდ ბაკაკია.

—

„თავრიზის სასახლე“.

ჩვენ წინეთაც გვქონდა აღნიშნული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მტრის თვალის ახვევას ამ ომის დროს. გერმანელები, თურმე, ტყეებს კაფავენ, ხეები სხვაგან, ტრიალ მინდორში გადააქვთ და ეგრე უცვლიან სახეს ადგილებს. გაზეთი „სამშობლოც“ ალბათ ამ მოსაზრებით აცხადებს აგერ ერთი ხანია:

„დეპუტატები შეიკრიბენ თ ა ვ რ ი ზ ი ს სასახლეში. როძიანკომ განაცხადა... თ ა ვ რ ი ზ ი ს სასახლეს გამოცოცხლება დაეტყო და სხვა...

ხერხი ჩინებულია. მკითხველი, რომელთა თვალასახვევათ ასე უცვლიან სახელს **ტავრიდის** სასახლეს, განცვიფრებული რჩება და ფიქრობს: როგორ მოხდა, რომ ჩვენი დეპუტატი კ. ჩხეიძე ჩვენ პეტროგრადში, სახელმწიფო დუმაში გავაგზავნეთ და ის კი თავრიზის ენჯუმენში გადასულაო. ჰეშმარიტათ დიდი მოხერხებული და მცოდნე ხალხი ზის „სამშობლო დედის ძუძუში“.

ყოველდღიური სპორტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„თანამედროვე აზრი“

ფასი წლით 7 მ. ნახევ. წლ. 4 მ. 1 თვით 90 კ.
ცალკე № 5 კ.

ადრესი: ფულის და წერილების გამოსაგზავნი; Тифлисъ почт. ящ. 199 Евгенію Илларіоновичу Урушадзе.
კანტორა: თფილისი, ბარონის ქ. № 15.

ყოველდღიური სალიტ. და სპორტიტ. გაზეთი

„სახალხო ფურცელი“

ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ნახევ. წლ. 4 მ. 5 კ.
3 თვ. 2 მ. 25 კ. 1 თ. 75 კ. ცალკე № 5 კ.

ადრესი: Тифлисъ, Газ. „Сахалхо Пурцели“ почт. ящ. 190

ყოველდღიური გაზეთი

„საქართველო“

ფასი წლის დამლევამდე 5 მანეთი „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც მთელი წლის ფული აქვთ გადახდილი, გაზეთი გაეგზავნებათ 1 მკათათვემდე.

ადრესი: Тифлисъ, Московская ул. № 4.

რეოაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი.

სპორტიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„თ ე მ ი“

გაზეთი გამოდის ორშაბათობით

ფასი: წლით 2 მ. 50 კ. ნახევ. წლ. 1 მ. 25 კ.
ცალკე № 5 კ.

ადრესი: Тифлисъ, Ольгинская ул. № 4

ყოველკვირეული სათეატრო და სალიტერატურო ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

ფასი: წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალკე № 10 კ.

ადრესი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“
Іосифу Имедашвили.

ყოველ თვიური საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

მცირე წლოვანთათვის და მოზრდილთათვის

ფასი: წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალკე № 40 კ.

ადრესი: Тифлисъ, ред, Журнала „Джеджили“ Артиллеріиская ул. № 5.

დასურათებული საუმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ

24 წიგნი ნაკადულისა მცირე წლოვანთათვის | 12 წიგნი ნაკადულისა მოზრდილთათვის

ფასი: ორივე გამოცემისა წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალ-ცალკე მცირე წლოვანთათვის 24 წ. 3 მ. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ.

ადრესი: Тифлисъ, Ред. „Накадули“ Голов. просп. № 8

გოლოვინის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხეში

გაიხსნა ახალი აფთიაქი ვარლამ ახვლედიანისა.

„ჩვენი გემო“

ფუფხუნა კვასი

„ჩვენი გემო“-ს ქარხანა გადავიდა ჩერქეზოვის ქუჩაზე № 38.

კვასი მზადდება პირველ ხარისხოვან მასალისაგან და ნადუღი წუდით. სასუფთავე ქარხანაში საუცხოოთ დაცულია. ამზადებს დიდი ხნის დაკვირვებული და პრაქტიკის მქონე მოხელე. გემო და სუნი მეტათ სასიამოვნო აქვს.

ვისაც სურს დალიოს ნამდვილი პურის კვასი. მოითხოვოს ყოველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის სხვა ფირმებში. კვასი „ჩვენი გემო“ ქიმიურ ლაბორატორიისაგან გასინჯული და მოწონებულია.

გთხოვთ პირველათ დარწმუნდეთ.

გთხოვთ პირველათ დარწმუნდეთ.

იყიდება გასული წლების ჟურნალები:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1908 წ. 34 ნომერი 2 მ. 50 კ.

2) „ეშმ. მათრახი“ —1909 წლ. 34 ნომერი - 2 მ. 50 კ.

ორივე წიგნი ერთად მშვენიერი ყდით ეღირება—6 მან.

3) „მათრახი“ 1910 წლის 33 ნომერი—2 მ. 50 კ.

4) „ალმანახები“ 1909 წლის 10 ნომერი—50 კ.

პროვინციაში მსურველთ გაეგზავნება ჩვენის ხარჯით ვინც წინ და წინ გამოგზავნის ფულს ან ფასდადებით გაიწერს.

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе.

ბრძოლა სადგურისათვის.



მუნჩიისპირელთა რაზმი მოულოდნელათ თავს დაესხა ლარჩვიელებს და მოსტაცა მომავალი რკინის გზის სადგური. ბრძოლა სწარმოებს სადგურის დასაბრუნებლათ.

1 მაისიდან ქალაქ თფილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება"

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „ეშმაკის მათრახი", „თემი", „თეატრი და ცხოვრება", ქუთათური „ახალი კვალი", „კავკაზსკოე სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „შმაკი" და „ხათაბალა".

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт.ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ოლგინსკაია, № 6.

ნებადართულია სამხ. ცენზურ. სტამბა ამხ. „შრომა". რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲝᲕᲝᲣᲠᲘ ᲡᲐᲣᲛᲐᲬᲧᲘᲚᲝ ᲜᲐᲡᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲯᲔᲯᲘᲚᲘ“

მცირე წლოვანთათვის და მოზრდილთათვის

ფასი: წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალკე № 40 კ.

ადრესი: Тифлисъ, ред, Журнала „Джеджили“ Артиллерійская ул. № 5.

ᲓᲐᲡᲣᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲛᲐᲬᲧᲘᲚᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ

24 წიგნი ნაკადულისა მცირე წლოვანთათვის | 12 წიგნი ნაკადულისა მოზრდილთათვის

ფასი: ორივე გამოცემისა წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალ-ცალკე მცირე წლოვანთათვის 24 წ. 3 მ. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ.

ადრესი: Тифлисъ, Ред. „Накадули“ Голов. просп. № 8

ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ
ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲒᲘᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲗ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ.

ᲨᲣᲨᲮᲣᲜᲐ „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲔᲛᲝ“ ᲙᲕᲐᲡᲘ

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲔᲛᲝ“-Ს ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ № 38.

ᲙᲕᲐᲡᲘ ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜ ᲛᲘᲡᲘᲓᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲜᲐᲓᲣᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲗ. ᲡᲘᲡᲣᲤᲗᲐᲕᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲨᲘ ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲗᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ. ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲛᲝᲮᲔᲚᲔ. ᲒᲔᲛᲝ ᲓᲐ ᲡᲣᲜᲘ ᲛᲔᲢᲐᲗ ᲡᲘᲡᲮᲐᲛᲝᲐᲜᲘ ᲐᲥᲕᲡ.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲣᲠᲡ ᲓᲐᲚᲘᲝᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲙᲕᲐᲡᲘ. ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲝᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲔᲛᲝ“ ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲧᲠᲘᲝᲜ ᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲨᲘ. ᲙᲕᲐᲡᲘ „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲔᲛᲝ“ ᲥᲘᲛᲘᲣᲠ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲡᲘᲜᲯᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

ᲒᲘᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲗ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘ:

1) „ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ“ 1908 წ. 34 ნომერი 2 მ. 50 კ.

2) „ᲔᲨᲛ. ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ“ —1909 წლ. 34 ნომერი 2 მ. 50 კ.

ორივე წიგნი ერთად მშვენიერი ყდით ელირება—6 მან.

3) „ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ“ 1910 წლის 33 ნომერი—2 მ. 50 კ.

4) „ᲐᲚᲛᲐᲜᲐᲮᲔᲑᲘ“ 1909 წლის 10 ნომერი—50 კ.

პროვინციაში მსურველთ გაეგზავნება ჩვენის ხარჯით ვინც წინ და წინ გამოგზავნის ფულს ან ფასდადებით გაიწერს.

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе.

ჯროსი ექიმი. მე ქალებს საზოგადოთ დიდ პატივსა ვცემ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ თავის დროზე ყველას მივიღებ...

ნებადართულია სსმხ. ცენზურ. სტამბა ამხ. „შრომა“. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე